ხელშეკრულება

ქ. თბილისი 04 ივლისი, 2022 წელი

ერთი მხრივ, შპს **ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**, წარმოდგენილი პრეზიდენტის, რ. მაიკლ ქაუგილის სახით (შემდგომში **„უნივერსიტეტი“**), და მეორე მხრივ, **ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School** (შემდგომში **„სკოლა“**), წარმოდგენილი ირმა მესხიშვილის სახით, ორივე მხარე, ერთად წოდებული როგორც **„მხარეები“**, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

I. ხელშეკრულების საგანი:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით **„სკოლა“** - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის (ფაკულტეტის) საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების, სილაბუსის/სილაბუსების შესაბამისად მომსახურებას უწევს **„უნივერსიტეტის“** მიერ წარგზავნილ სტუდენტს, ხოლო **„უნივერსიტეტი“** იხდის შეთანხმებულ საზღაურს.

II. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და პირობები:

2.1. პრაქტიკული კურსის ხანგრძლივობა, დაწყებისა და დასრულების ვადები ემთხვევა **„უნივერსიტეტის“** შესაბამისი სასწავლო სემესტრის ვადებს;

2.2. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მიმართულია **ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის** საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვისა და მათთვის შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავებისაკენ. სტუდენტებს საშუალება ექნებათ განივითარონ პრაქტიკული უნარები და სათანადოდ შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები;

2.3. წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის სილაბუსი/სილაბუსები (დანართი 1), რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პრაქტიკის დეტალებს და წარმოადგენს

ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსით;

2.4. თითოეული პრაქტიკული კურსის (სასწავლო სემესტრის) დასრულებისას **„მხარეებს“** შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი გაწეული მომსახურების შესახებ;

2.5. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 3 წლის ვადით.

III. მხარეთა უფლებები და მოვალეობები:

3.1. **„სკოლა “ ვალდებულია:**

3.1.1. უზრუნველყოს სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლა - ზემოაღნიშნული პროგრამის/პროგრამების ერთი სემეტრის განმავლობაში - შესაბამის სილაბუსში გაწერილი მოცულობით;

3.1.2. სტუდენტებს გამოუყოს კვალიფიციური ზედამხედველი/მენტორი;

3.1.3. უზრუნველყოს სტუდენტი გაცნობითი და საკონტაქტო შეხვედრებით; შეადგენინოს სამუშაო გრაფიკი;

3.1.4. მენტორის უშუალო ხელმძღვანელობით ჩართოს სტუდენტი „სკოლის“ საქმიანობის განხილვა/ანალიზის პროცესში;

3.1.5. მენტორმა უნდა გააცნოს სტუდენტს:

ა) სასწავლო პრაქტიკის გავლისათვის აუცილებელი პირობები და კონკრეტული დავალებები;

ბ) რეგულარულად შეუმოწმოს დავალება;

გ) შეასრულებინოს სასწავლო პრაქტიკის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი მარტივი სამუშაოები, როგორებიცაა: საგაკვეთილო მასალის მოძიება, გაცნობა-დამუშავება, ანოტირება, გაანალიზება, მასალის მოსწავლეებისთვის დროულად და ხარისხიანად მიწოდების უზრუნველყოფა (მათ შორის ეელქტრონულად) და სხვ;

დ) მასწავლებლის/მენტორის მითითებით მონაწილეობის მიღება სასკოლო კონფერენციებისა და თემატური ღონისძიებების მომზადებასა თუ სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიების ორგანიზებაში;

ე) მასწავლებელს/მენტორს შეუძლია სტუდენტს შეასრულებინოს სასწავლო პრაქტიკის სპეციფიკის შესაბამისი სხვადასხვა სახის ინდივიდუალური დავალება.

3.1.6. ნება დართოს „უნივერსიტეტის“ წარმომადგენელს, საჭიროებისამებრ, დაესწროს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროცესს.

3.2. „უნივერსიტეტი“ ვალდებულია:

3.2.1. სასწავლო სემესტრის დაწყებისას მიაწოდოს „სკოლას“, სტუდენტების სია და მათი საკონტაქტო ინფორმაცია;

3.2.2. დროულად მიაწოდოს ინფორმაცია „სკოლას“, სტუდენტების შეფასების წესის ან/და სილაბუსის ცვლილების შემთხვევაში;

3.2.3. აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

3.3. მხარეთა უფლებები:

3.3.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.

IV. მომსახურების ღირებულება და ანაზღაურების წესი:

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 50 ლარს ერთ სტუდენტზე - ერთი სემესტრის განმავლობაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;

4.2. სასწავლო პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტების რაოდენობა ერთი სემესტრის განმავლობაში განისაზღვროს არაუმეტეს 10 სტუდენტისა;

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ - არაუგვიანეს სასწავლო სემესტრის დასრულებიდან 10 სამუშაო დღისა.

V. ხელშეკრულების შეწყვეტა:

5.1. „უნივერსიტეტი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება „სკოლის“, მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დაუსაბუთებლად გაჭიანურების ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

5.2. „სკოლა“, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება „უნივერსიტეტის“ მიერ ამ ხელშეკრულების 4.1. ან/და 4.3. პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

VI. დასკვნითი დებულებები:

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

საიდენტიფიკაციო კოდი:
ს/კ 206169304
ქ. თბილისი, მ. ალექსიძის N 10

პრეზიდენტი
რ. მაიკლ ქაუგილი

შპს ქართულ-ამერიკული
სკოლა.Georgian-American School

საიდენტიფიკაციო კოდი:
ს/კ404965169
ქ.თბილისი, ნ.რამიშვილის ქ. N6

დირექტორი
ირმა მესხიშვილი